საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW

№ 3098/31-05 „15" 05 2026 წ.

დეკანის ბრძანება

№6

სახელობითი სტიპენდიის გამოცხადებისა და შესარჩევი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013წლის 11 სექტემბრის N 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა", ,,ი" ქვეპუნქტების და მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სახელობითი სასტიპენდიო კონკურსი:

   - ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელობის სტიპენდია [სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის] - ერთი სტიპენდია;
   - ლევან ალექსიძის სახელობის სტიპენდია [საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის] - ერთი სტიპენდია;
   - სერგო ჯორბენაძის სახელობის სტიპენდია [სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის] - ოთხი სტიპენდია;
   - ოთარ გამყრელიძის სახელობის სტიპენდია [სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის] - ერთი სტიპენდია;
   - მზია ლეკვეიშვილის სახელობის სტიპენდია [სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის] - ერთი სტიპენდია;
   - გურამ ნაჭყებიას სახელობის სტიპენდია [სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის] - ერთი სტიპენდია.

2. თითოეულ სტუდენტზე გაიცეს სტიპენდია ერთჯერადად 700 ლარის ოდენობით.

საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179
3, Ilia Tchavthavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 2 25 04 84 (2234) Tel.
ელ.ფოსტა: law@tsu.ge E-mail

3. სახელობითი სტიპენდიების კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე, მე-6 და მე-7 სემესტრის სტუდენტებს, რომელთა მოსწრების საშუალო ქულა (GPA) მინიმუმ 3.7-ს შეადგენს.

4. სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. საკონკურსო დოკუმენტების მიღება განხორციელდეს 2026 წლის 18 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით ელექტრონული ფორმით იურიდიული ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ სააპლიკაციო პორტალზე.

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა:
   ა) შეავსოს აპლიკაციის კითხვარი;
   ბ) წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი.

7. დამატებითი მხარდაჭერის მქონე კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა შესაბამისი სტატუსის შესახებ.

8. თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცხადებული სასტიპენდიო კონკურსში სტუდენტთა შერჩევისთვის შეიქმნას კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:
   ა) **მორის შალიკაშვილი** - იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
   ბ) **ვასილ გონაშვილი** - იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
   გ) **პაატა ტურავა** - იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;
   დ) **ირინე ქურდაძე** - იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
   ე) **ალექსანდრე გიორგიძე** - იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის უფროსი;
   ვ) **ნიკა ტეფნაძე** - იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის მთავარი სპეციალისტი.

9. შეფასება ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

		მინიმალური ქულა	**მაქსიმალური ქულა**
აკადემიური მოსწრება (55.5 – 60 ქულა)			
	GPA (3.7 - 4.0)	55.5	60

	ქულის მისაღებად მაჩვენებელი მრავლდება 15-ზე		
თსუ იურიდიული ფაკულტეტის მიერ 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრირებულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (0 – 30 ქულა)			
	ერთ საკონფერენციო სექციაში მოხსენების წარდგენა	0	5
	ორ საკონფერენციო სექციაში მოხსენებების წარდგენა	0	10
	ერთ საკონფერენციო სექციაში მოხსენების წარდგენა და საპრიზო ადგილის მოპოვება	0	20
	ორ საკონფერენციო სექციაში მოხსენების წარდგენა და ორი საპრიზო ადგილის მოპოვება	0	30
დამატებითი მხარდაჭერა (0-10 ქულა)			
დამატებითი მხარდაჭერა (0-10 ქულა)	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით)	0	2
	სოციალურად დაუცველი პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს განაცხადის მომენტში კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით)	0	2

	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობით)	0	2
	არასრულწლოვანი ბავშვის მშობელი (სტატუსი უნდა დასტურდებოდეს არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობით)	0	2
	ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი	0	2
სულ		**100**	

10. თსუ იურიდიული ფაკულტეტის მიერ 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრირებულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეთა სია, ასევე აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია კომისიას მიეწოდება თსუ იურიდიული ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ.

11. ინფორმაცია სასტიპენდიო კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს იურიდიული ფაკულტეტის ვებ გვერდზე.

მორის შალიკაშვილი

დეკანი